სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/70

ქ. თბილისი 27 სექტემბერი 2019

ელექტროენერგიის, გაზის და სატელეკომუნიკაციო ობიექტების ინსპექტირების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 31 ივლისის №01-05-04/214 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 27 სექტემბრის №01-06-02/08 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე არსებული ელექტროენერგიის, გაზის და სატელეკომუნიკაციო ობიექტების ინსპექტირების ცენტრის დებულება წარმოდგენილი სახით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**